

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2023 წლის

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის შესახებ“.

მუხლი 2.

სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმი, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია ბაზარზე განთავსებული იქნეს დადგენილების ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი მოთხოვნები

ტექნიკური რეგლამენტი – სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის შესახებ (შემდგომ – ტექნიკური რეგლამენტი) ადგენს სპეციფიკურ მოთხოვნებს კერამიკული ნაწარმის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ მათი წარმოებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს.

მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

2. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის N317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლით განსაზღვრულ სპეციალურ მოთხოვნებს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმიდან ტყვიისა და კადმიუმის შესაძლო მიგრაციასთან დაკავშირებით.

3. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ბაზარზე განთავსებულ კერამიკულ ნაწარმზე, რომელიც დამზადებულია ან/და ბაზარზე განთავსებულია ერთ-ერთი დანიშნულებით:

- ა) განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის;
- ბ) უკვე შეხებაშია სურსათთან;
- გ) გამიზნულია, რომ მოვიდეს შეხებაში სურსათთან.

4. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომ -სააგენტო) ამ ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კერამიკული ნაწარმი – ჩვეულებრივ თიხისა ან სილიკატის მაღალი შემცველობის მქონე არაორგანული მასალის ნარევისგან დამზადებული ნაკეთობები, საგნები, ნაწარმი, რომელსაც შესაძლოა დამატებული ჰქონდეს მცირე რაოდენობით ორგანული მასალები. კერამიკულ ნაწარმს თავდაპირველად აძლევენ ფორმას, რომელიც შემდეგში ფიქსირდება გამოწვით. ასეთი ნაკეთობები შესაძლებელია დაფარული იყოს მინანქრით, ემალთ და/ან იყოს დეკორირებული/გაფორმებული;

ბ) სურსათის იმიტატორი - მოდელოური/საცდელი გარემო, რომელიც წარმოადგენს სურსათის იმიტაციას. სურსათის იმიტატორი, თავისი მოქმედებით ახდენს სურსათთან შეხებაში მყოფი ნაწარმიდან, ნაკეთობებიდან, საგნებიდან მიგრაციის იმიტაციას;

გ) შესრულების კრიტერიუმი - მოთხოვნები სამუშაო მახასიათებლების მიმართ, რომელთა მიხედვით შეიძლება დადგენილი იქნეს, რომ ანალიზის მეთოდი შეესაბამება დანიშნულებისამებრ გამოყენებას და იძლევა სანდო/სარწმუნო შედეგებს;

დ) აღდგენა - საანალიზო ნივთიერების კორექტირებული რაოდენობა, შეფარდებული მატრიცის ნიმუშში ფორტიფიცირებულ საანალიზო ნივთიერების რაოდენობაზე, გამოსახული პროცენტულად.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და სფეროს მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის მიმართ

1. სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის ბაზარზე განთავსება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა, სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმი უნდა აკმაყოფილებდეს:

ა) ნორმალურ ან მოსალოდნელ/პროგნოზირებად პირობებში გამოყენებისას - „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის N317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ზოგად მოთხოვნებს;

ბ) „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის N317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლით განსაზღვრულ ეტიკეტირების მოთხოვნებს;

გ) „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის N317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლით განსაზღვრულ მიკვლევადობის მოთხოვნებს;

დ) „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის N317 დადგენილებით დამტკიცებული წესის 15¹ მუხლით - „სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და საგნების კარგი საწარმოო პრაქტიკის შესახებ“ და ამავე დადგენილების „დეტალური წესები კარგი წარმოების პრაქტიკის შესახებ“ - დანართი N3 -ის „ბ“ პუნქტით - „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი გადამამუშავებული პლასტმასის მასალებისა და ნივთებისათვის“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 5. სპეციფიკური მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის მიმართ

1. კერამიკული ნაწარმიდან გადატანილი ტყვიისა და კადმიუმის რაოდენობის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის „ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის განსაზღვრის ძირითადი წესების“ (დანართი N1) და - „ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის განსაზღვრის ანალიზის მეთოდები“-თ (დანართი N2) დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. თუ კერამიკული ნაწარმი წარმოადგენს ჭურჭელს კერამიკული სახურავით/თავსახურით, ტყვიისა და/ან კადმიუმის ზღვრული მნიშვნელობა, რომელიც არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს (მგ/დმ² ან მგ/ლიტრი), არის მხოლოდ უშუალოდ ჭურჭლის მიმართ გამოყენებულ ზღვარი. ამ შემთხვევაში:

ა) ჭურჭელი და სახურავის/თავსახურის შიდა ზედაპირი გამოკვლეული უნდა იქნეს ცალ-ცალკე და ერთი და იგივე პირობებში;

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გამოყოფილი ტყვიის ან/და კადმიუმის ორი სიდიდის (ჭურჭელი, სახურავი/თავსახური) ჯამი დაკავშირებული უნდა იყოს მხოლოდ ჭურჭლის მოცულობასთან ან ფართობთან.

3. კერამიკული ნაწარმი მხოლოდ იმ შემთხვევაში აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუ დანართი N1-ით და დანართი N2-ით დადგენილი პირობების მიხედვით გამოყოფილი ტყვიის ან/და კადმიუმის რაოდენობა არ აღემატება - „ტყვიისა და კადმიუმის ზღვრული მნიშვნელობები კერამიკული ნაწარმის სხვადასხვა კატეგორიებში“ ცხრილი N1-ით დადგენილ მოთხოვნებს.

4. გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა, თუ კერამიკულ ნაწარმში ტყვიის ან კადმიუმის შემცველობა არ აღემატება ცხრილი N1-ით განსაზღვრულ რაოდენობას 50 %-ზე მეტით, უნდა ჩაითვალოს, რომ ეს ნაწარმი აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს მხოლოდ იმ პირობით, თუ იმავე ფორმის, ზომის, გაფორმების (დეკორირებული) და მომინანქრების მქონე სამი სხვა ნაწარმი, დაექვემდებარა დანართი N1-ით და დანართი N2-ით დადგენილი პირობების მიხედვით გამოკვლევებს და ამ სამი ნაკეთობიდან გამოყოფილი ტყვიის და/ან კადმიუმის საშუალო რაოდენობა არ აღემატება დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობას, არცერთი მათგანი არ აღემატება ზღვრულ მნიშვნელობის 50%-ზე მეტი ოდენობით.

ცხრილი N1

ტყვიისა და კადმიუმის ზღვრული მნიშვნელობები კერამიკულ ნაწარმის სხვადასხვა კატეგორიებში

კერამიკული ნაწარმის კატეგორია	კერამიკული ნაწარმის დახასიათება	ტყვია (Pb)	კადმიუმი (Cd)
კატეგორია 1	ნაწარმი, რომლის შევსება შეუძლებელია; ასევე ნაწარმი, რომელთა შევსება შესაძლებელია და რომლის ყველაზე დაბალი წერტილიდან ზედა კიდის ჰორიზონტალურ სიბრტყემდე გაზომილი შიდა სიღრმე (სიმაღლე) არ აღემატება 25 მმ-ს	0,8 მგ/დმ ²	0,07 მგ/დმ ²
კატეგორია 2	ყველა სხვა ნაწარმი, რომელთა შევსება შესაძლებელია	4,0 მგ/ლ	0,3 მგ/ლ
კატეგორია 3	საკვების მოსამზადებელი ჭურჭელი; 3 (სამი) ლიტრზე მეტი ტევადობის მქონე შესაფუთი და შესანახი ჭურჭელი	1,5 მგ/ლ	0,1 მგ/ლ

მუხლი 6. შესაბამისობის დეკლარაცია

1. კერამიკულ ნაწარმს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის შეხებაში სურსათთან, მარკეტინგის ყველა ეტაპზე, საცალო ვაჭრობის ეტაპის ჩათვლით, თან უნდა ახლდეს „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის N317 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლით განსაზღვრული წერილობითი შესაბამისობის დეკლარაცია, რომელიც მოწოდებული უნდა იქნეს მწარმოებელი ან საცალო ვაჭრობის ბიზნესოპერატორის მიერ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მზა კერამიკული ნაწარმის მწარმოებელი და იმპორტიორი ბიზნესოპერატორი, მისამართი და საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) კერამიკული ნაწარმის დასახელება;

გ) დეკლარაციის თარიღი;

დ) დადასტურება, რომ კერამიკული ნაწარმი აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტისა და „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის N317 დადგენილებით დამტკიცებული წესით - განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც დადასტურებულია, რომ კერამიკული ნაწარმში ტყვიის და კადმიუმის მიგრაციის ზღვარი შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მწარმოებლის ან იმპორტიორის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი უნდა იქნეს მოთხოვნისთანავე. ეს დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ჩატარებული ანალიზების შედეგებს, გამოკვლევის პირობებს და იმ ლაბორატორიის დასახელებას და მისამართს, სადაც განხორციელდა გამოკვლევები.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წერილობითი დეკლარაცია უნდა იძლეოდეს იმ ნაწარმის ადვილად იდენტიფიცირების საშუალებას, რომელზედაც ის გაიცემა და ექვემდებარება განახლებას, თუ წარმოებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვევს ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის ცვლილებას.

დანართი N1

ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის განსაზღვრის ძირითადი წესები

1. სითხე ტესტირებისათვის (იმიტატორი)

4 % - იანი ძმარმჟავას წყალხსნარი, ახლად მომზადებული.

2. გამოკვლევის პირობები

2.1. გამოკვლევა უნდა ჩატარდეს 22 ± 2 ° C ტემპერატურაზე $24 \pm 0,5$ საათის განმავლობაში;

2.2. როდესაც უნდა განისაზღვროს ტყვიის მიგრაცია, ნიმუში უნდა დაიფაროს დაცვის შესაბამისი საშუალებით და შემდეგ შესაძლებელია იგი დაექვემდებაროს ლაბორატორიის ჩვეულებრივ განათების პირობებს; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც უნდა განისაზღვროს კადმიუმის, ან ტყვიის და კადმიუმის მიგრაცია, ნიმუში უნდა დაიფაროს ისე, რომ გამოკვლევას დაექვემდებარებული ზედაპირი გარანტირებულად ინახებოდეს სრულ სიბნელეში.

3. შევსება

3.1. ნიმუშები, რომლებიც შეიძლება შეივსოს:

3.1.1. შეავსეთ ნაწარმი 4%-იანი ძმარმჟავას ხსნარით გადადინების წერტილიდან არაუმეტეს 1 მმ-მდე. დისტანცია (დაშორება) გაზომილი უნდა იქნეს ნიმუშის უკიდურესი ზედა კიდიდან;

3.1.2. ბრტყელი ან უმნიშვნელოდ დახრილი კიდის მქონე ნიმუშები შევსებული უნდა იქნეს ისე, რომ დისტანცია (დაშორება) ხსნარის ზედაპირსა და გადადინების წერტილს შორის, დახრილი კიდის მიმართ, შეადგენდეს არაუმეტეს 6 მმ-;

3.2. ნიმუშები, რომელთა შევსება შეუძლებელია

ნიმუშის ზედაპირი, რომელიც არ არის განკუთვნილი სურსათთან შეხებისათვის, თავდაპირველად იფარება შესაბამისი დამცავი ფენით, რომელიც მდგრადია 4%-იანი ძმარმჟავას ხსნარის მოქმედების მიმართ. შემდეგ ნიმუშს ძირავენ რეციპიენტში, რომელიც შეიცავს ძმარმჟავას ხსნარის ცნობილ მოცულობას ისე, რომ ზედაპირი, რომელიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის, სრულად დაიფაროს გამოსაკვლევი სითხით.

4. ზედაპირის ფართობის განსაზღვრა

ამ ტექნიკური რეგლამენტის ცხრილი N1-ით განსაზღვრული კერამიკული ნაწარმის კატეგორია 1-ის ზედაპირის ფართობი ტოლია სითხის თავისუფალ ზედაპირის მენისკის ფართობისა, რომელიც წარმოიქმნება ამ დანართის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შევსების მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი N2

ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის განსაზღვრის ანალიზის მეთოდები

1. ობიექტი და გამოყენების სფერო

მეთოდი იძლევა ტყვიის და/ან კადმიუმის სპეციფიკური მიგრაციის განსაზღვრის საშუალებას.

2. პრინციპი

ტყვიისა და/ან კადმიუმის სპეციფიკური მიგრაციის განსაზღვრა ხორციელდება ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდებით, რომელიც აკმაყოფილებს ამ დანართის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შესრულების კრიტერიუმებს.

3. რეაქტივები (რეაგენტები)

3.1. ყველა რეაქტივი (რეაგენტი), თუ სხვა არ არის მითითებული, უნდა იყოს საანალიზო ხარისხის;

3.2. იქ სადაც მითითება ხდება წყალზე, ყოველთვის ნიშნავს დისტილირებულ (გამოხდილ) წყალს ან ეკვივალენტური ხარისხის მქონე წყალს.

3.3. 4%-იანი ძმარმჟავას წყალხსნარის მოსამზადებლად 40 მლ ცინკლოვან ძმარმჟავას ემატება წყალი და ივსება 1000 მლ. მოცულობამდე;

3.4. სტანდარტული ხსნარები - უნდა მომზადდეს სტანდარტული ხსნარები, ამ დანართის 3.3. პუნქტით განსაზღვრულ 4 %-იანი ძმარმჟავას წყალხსნარში, რომელიც უნდა შეიცავდეს 1000 მგ/ლ ტყვიასა და არანაკლებ 500 მგ/ლ კადმიუმს.

4. ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდის შესრულების კრიტერიუმები

4.1. აღმოჩენის (დეტექციის) ზღვარი უნდა იყოს:

4.1.1 ტყვიისათვის - 0,1 მგ/ლ-ის ტოლი ან ნაკლები;

4.1.2 კადმიუმისათვის - 0,01 მგ/ლ ტოლი ან ნაკლები;

4.1.3 აღმოჩენის (დეტექციის) ზღვარი განისაზღვრება როგორც ელემენტის კონცენტრაცია, ამ დანართის 3.4. ქვეპუნქტით განსაზღვრულ 4 % ძმარმჟავას წყალხსნარში, რომელიც იძლევა ინსტრუმენტის(ხელსაწყო) ფონურ ხმაზე ორჯერ უფრო მაღალ სიგნალს,

4.2 რაოდენობრივი ზღვარი უნდა იყოს:

4.2.1 ტყვიისთვის - 0,2 მგ/ლ-ის ტოლი ან ნაკლები;

4.2.2 კადმიუმისათვის - 0,02 მგ/ლ-ის ტოლი ან ნაკლები.

4.3 აღდგენა - ამ დანართის 3.3. პუნქტით განსაზღვრულ 4 %-იანი ძმარმჟავას წყალხსნარში ტყვიისა და კადმიუმის აღდგენა უნდა იყოს დამატებული რაოდენობის 80-120% ფარგლებში.

4.4. სპეციფიკა - ანალიზისთვის გამოყენებული ინსტრუმენტული მეთოდი თავისუფალი უნდა იყოს მატრიცული და სპექტრული გადაფარვისაგან.

5. მეთოდი

5.1 ნიმუშის მომზადება;

5.1.1 ნიმუში უნდა იყოს სუფთა და თავისუფალი ცხიმებისა და სხვა ნივთიერებებისაგან, რომლებმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინონ გამოკვლევაზე;

5.1.2 ნიმუში უნდა გაირეცხოს 40°C -ის მქონე ხსნარში, რომელიც შეიცავს თხევად საყოფაცხოვრებო სარეცხ საშუალებას, რის შემდეგაც ნიმუში უნდა გაირეცხოს ჯერ ონკანის წყლით და შემდეგ გამოხდილი (დისტილირებული) წყლით ან ეკვივალენტური ხარისხის წყლით. წყალი უნდა გადაიღვაროს და ნიმუში კარგად გამშრალდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ჭუჭყის არსებობა. გაწმენდა-გასუფთავების შემდეგ გამოსაკვლევი ზედაპირი ნებისმიერი შეხებისაგან უნდა იქნეს დაცული.

5.2 ტყვიისა და კადმიუმის განსაზღვრა;

5.2.1. ამ დანართის 5.1. პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების მიხედვით მომზადებული ნიმუშის გამოკვლევა უნდა განხორციელდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრულ პირობებში;

5.2.2. ტყვიისა და/ან კადმიუმის განსაზღვრისათვის საანალიზო ხსნარის აღებამდე, უნდა მოხდეს შესაბამისი მეთოდით ნიმუშის ჰომოგენიზაცია, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ხსნარის დანაკარგები ან გამოსაკვლევი ზედაპირის აბრაზია (მექანიკური დაზიანება);

5.2.3. უნდა ჩატარდეს ცრუ ცდა რეაქტივით, რომელიც გამოიყენება განსაზღვრის თითოეული სერიისათვის;

5.2.4. შესაბამის პირობებში უნდა განხორციელდეს ტყვიის და/ან კადმიუმის განსაზღვრა.

განმარტებითი ბარათი

„ტექნიკური რეგლამენტი - სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

წარმოდგენილი პროექტი შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, COUNCIL DIRECTIVE of 15 October 1984 on the approximation of the laws of the Member States relating to ceramic articles intended to come into contact with foodstuffs 2005 წლის კონსოლიდირებული ვერსიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

პროექტის მომზადება განპირობებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების (შემდგომში – ასოცირების შეთანხმება) და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების (SPS) მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. ასოცირების შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების ვადების მითითებით. მათ შორის არის 2019 წლის 7 ნოემბრის კომისიის (EU) 2019/1871 რეგულაციის

ცხოველური წარმოშობის საკვებში არსებული დაუშვებელი ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მხრივ მისაღები საცნობარო ზომების შესახებ და აუქმებს 2005/34/EC გადაწყვეტილებას.

პროექტი ადგენს: ადგენს სპეციფიკურ მოთხოვნებს კერამიკული ნაწარმის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ მათი წარმოებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს. პროექტში მოცემულია ტექნიკური რეგლამენტის მიზანი და გამოყენების სფერო, ზოგადი მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის მიმართ, სპეციფიკური მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის მიმართ, რომლის თანახმადაც კერამიკული ნაწარმიდან გადატანილი ტყვიისა და კადმიუმის რაოდენობის განსაზღვრა უნდა განხორციელდეს ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის „ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის განსაზღვრის ძირითადი წესების“ და დანართი N2-ის - „ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის განსაზღვრის ანალიზის მეთოდები“-თ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ასევე განსაზღვრავს ტყვიისა და კადმიუმის ზღვრულ მნიშვნელობებს კერამიკულ ნაწარმის სხვადასხვა კატეგორიებში და ადგენს ასევე შესაბამისობის დეკლარაციაში წარსადგენ ინფორმაციას. პროექტში მოცემულია ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის განსაზღვრის ძირითადი წესები და მათი მიგრაციის განსაზღვრის ანალიზის მეთოდები.

პროექტს თან ერთვის დანართი, რომელშიც ადგენს „ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის განსაზღვრის ძირითადი წესებს“ და „ტყვიისა და კადმიუმის მიგრაციის განსაზღვრის ანალიზის მეთოდები“.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი მომზადებულია, COUNCIL DIRECTIVE of 15 October 1984 on the approximation of the laws of the Member States relating to ceramic articles intended to come into contact with foodstuffs 2005 წლის კონსოლიდირებული ვერსიის შესაბამისად.

გენდერული თანასწორობის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობაზე გავლენას.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი ზეგავლენას არ იქონიებს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი კერამიკული ნაწარმის შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას, ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2026 წლის პირველი იანვრიდან.

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების (დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამიჯვნას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

მხედველობაშია ის გარემოებაც, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N2-954 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც მოახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ მე-4 თავის - „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები“-ს XI-B დანართის ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევების იდენტიფიცირებას და დაგეგმავს მათი სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო

ღონისძიებებს. ამასთან, ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში მივმართეთ თხოვნით, მხარი დაგვიჭიროს ზემოაღნიშნული საკითხის უზრუნველყოფაში.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, უკეთ განვსაზღვროთ დაახლოვებული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული მითითებული ვადები და საჭიროების შემთხვევაში, მათი მოვამზადოთ გადავადებების შესახებ შესაბამისი წინადადებები.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.